მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოდგენაზე

თარიღი:	2019 წლის 12 მარტი
სესხის No. და დასახელება:	სესხის No. 3291/3292-GEO: ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 5
კონტრაქტის No. და დასახელება:	UWSCG-ICB-MES-03-2019 : მესტიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება, მოწოდება და მონტაჟი
სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა:	2019 წლის 23 აპრილი, 16:00 საათი (ადგილობრივი დროით)

1. საქართველომ მიიღო დაფინანსება აზიის განვითარების ბანკისგან (ADB) **ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის ტრანში 5-ის** დაფინანსებისათვის. აღნიშნული დაფინანსების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოხსენებული კონტრაქტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისთვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

2. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) იღებს დალუქულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან მესტიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის განსახორციელებლად. ობიექტი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით, კავკასიონის მთებში, კერძოდ, ქალაქ მესტიაში, თბილისის ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 224 კილომეტრში.

   პროექტის ფარგლებში იგეგმება:

   ა. წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება, მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება, ასევე, დაახლოებით 2.5 კმ. წყალარინების ქსელის მშენებლობა მესტიაში. პროექტმა უნდა გაითვალისწინოს 2020 წლის 9,855 მოსახლეობის ექვივალენტისათვის სრული მოცულობა და დაბინძურების დატვირთვა, მაგრამ პროექტი და მშენებლობა უნდა განხორციელდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს გამწმენდი ნაგებობის წარმადობის სამომავლო გაზრდა 2040 წლისთვის.

   ბ. ნაგებობა უნდა შედგებოდეს სატუმბი სადგურებისაგან, ფილტრებისაგან, აერაციის და დალექვის ავზებისაგან, საოპერაციო და ადმინისტრაციული შენობებისაგან, ლამის შემასქელებლისა და ა.შ.

   გ. მშენებლობის ხანგრძლივობა არის 540 დღე (ექსპლუატაციაში გაშვების, ტრენინგების პერიოდის და ექსპლუატაციაში მიღების ჩათვლით)

3. **საერთაშორისო ტენდერი** წარიმართება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი-ერთკონვერტიანი სატენდერო პროცედურების მიხედვით. ტენდერი ღიაა

უფლებამოსილი ქვეყნების ყველა პრეტენდენტისათვის, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაშია აღწერილი.

4. ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ იმ უფლებამოსილ პრეტენდენტებს რომლებსაც აქვთ შემდეგი ძირითადი კვალიფიკაცია:

   - მსგავსი ზომისა და ბუნების კონტრაქტი: სულ მცირე ერთ (1) პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტში მონაწილეობა, რომელიც წარმატებით ან არსებითად დასრულდა ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში და რომელიც შემოთავაზებული სამუშაოების მსგავსია, სადაც პრეტენდენტის მონაწილეობა, როგორც კონტრაქტორი, მენეჯმენტ-კონტრაქტორი ან ქვეკონტრაქტორი, აჭარბებს 7,500,000 აშშ. დოლარს ან ექვივალენტს. მსგავსება ეფუძნება სამუშაოების ფიზიკურ სიდიდეს, ბუნებას, მეთოდებს, ტექნოლოგიას ან სირთულესა და სხვა მახასიათებლებს, როგორც ეს აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციის სექცია 6-ში - „დამკვეთის მოთხოვნები“.(ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, ერთი პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას).
   - საშუალო წლიური ბრუნვა: მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა 12,57 მილიონი აშშ. დოლარი ან მისი ექვივალენტის ოდენობით, რომელიც გამოითვლება დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტებისათვის მიღებული სერტიფიცირებული გადახდების ჯამით ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში. (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა პარტნიორმა მოთხოვნის 50%);
   - ფინანსური რესურსები: პრეტენდენტმა უნდა აჩვენოს ლიკვიდური აქტივების, აკრედიტივის ან სხვა ფინანსური რესურსების არსებობა ან მათზე წვდომა 1,57 მილიონი აშშ. დოლარის (ან ექვივალენტის) ოდენობით, (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა პარტნიორმა მოთხოვნის 50%);

5. დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და სატენდერო დოკუმენტების შემოწმებისათვის პრეტენდენტები უნდა დაუკავშირდნენ შემდეგ ადრესატს:

   შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
   ვაჟა-ფშაველას გამზირი 76ბ
   0186 თბილისი, საქართველო
   ტელეფონი: (995 32) 291 90 60
   ფაქსი: (995 32) 22 00 36
   ელექტრონული ფოსტის მისამართი:
   n.abuladze@water.gov.ge; i.mazanishvili@water.gov.ge; g.matiashvili@water.gov.ge.

6. სატენდერო დოკუმენტების ინგლისურ ენაზე შესყიდვისათვის უფლებამოსილმა პრეტენდენტებმა:

   - უნდა მიიწერონ ზემოხსენებულ მისამართზე UWSCG-ICB-MES-03-2019: მესტიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება, მოწოდება და მონტაჟი
   - უნდა გადაიხადონ არაანაზღაურებადი საფასური:
     - 250 ლარის ან 100 აშშ დოლარის ოდენობით სატენდერო დოკუმენტების

UWSCG ოფისში მიღებისათვის 10:00-დან 17:00 საათამდე არარედაქტირებად CD-ზე (ელექტრონული ფორმით),
- ან 500 ლარის ან 200 აშშ დოლარის ოდენობით სატენდერო დოკუმენტების არარედაქტირებად CD-ზე (ელექტრონული ფორმატი) კურიერის საშუალებით მიღებისთვის.

გადახდა შეიძლება განხორციელდეს ნაღდი ანგარიშსწორებით ან ელექტრონული გადარიცხვით შემდეგ ანგარიშზე:

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
სს ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი
SWIFT CODE: LBRTGE22
GE67LB0113123325230095 GEL
GE40LB0113123325230096 USD

დანიშნულებით: „მოწვევა სატენდერო პაკეტზე #UWSCG-ICB-MES-03-2019: მესტიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება, მოწოდება და მონტაჟი”

7. თქვენი სატენდერო წინადადება მიიტანეთ:

- შემდეგ მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი 76ბ, 0186 თბილისი, საქართველო. სატენდერო წინადადების ჩაბარების ბოლო ვადამდე ან ბოლო დღეს: **2019 წლის 23 აპრილი, 16:00 საათი (ადგილობრივი დროით);**
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად, როგორც სატენდერო დოკუმენტშია აღწერილი.

სატენდერო წინადადებები გაიხსენება ბოლო ვადის ამოწურვისთანავე, პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, ვინც დასწრებას მოისურვებს.